პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№38 (6163) 21 1978 წ. მაისი, კვირა, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ბრძანებულება

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ:**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია 1978 წლის 28 ივნისს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 19 მაისი.

## კონსტიტუცია ცხოვრობს, კონსტიტუცია მოქმედებს

მუხლი 24... სახელმწიფო ხელს უწყობს კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას მოსახლეობის მომსახურების ყველა სფეროში, იგი ხელს უწყობს მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას.

მუხლი 39. საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ დასვენების უფლება. ამ უფლებას უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეთათვის არა უმეტეს 41-საათიანი სამუშაო კვირის დაწესება და მთელი რიგი პროფესიებისა და წარმოებებისათვის დადგენილი შემცირებული სამუშაო დღე, ღამით მუშაობის შემცირებული ხანგრძლივობა, ყოველწლიური ფასიანი შვებულებების მიცემა, ყოველკვირეული დასვენების დღეები, აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება, საცხოვრებელ ადგილებზე დასვენების ხელშემწყობი შესაძლებლობებისა და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების სხვა პირობების შექმნა.

(საქართველოს სსრ კონსტიტუციიდან).

**საქართველოს პროფსაბჭოს V პლენუმის შესახვედრად**



სურათზე: თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანში" სამუშაოს დამთავრების შემდეგ ფიზკულტურელთა ჯგუფი სპორტული ბაზებისკენ მიეშურება.

ჯ. ლომაძის ფოტო.

## ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ

**ჩვენი** ცხოვრების ძირითად კანონს — ახალ კონსტიტუციას სამართლიანად ვუწოდებთ ჩვენი წინსვლისა და შემდგომი აყვავების გარანტიას. მის თითოეულ სტრიქონში ღრმადაა გაანალიზებული აწმყო და ნათელი მომავალი. არ დარჩენილა ცხოვრების არც ერთი სფერო სახელმწიფოს ძირითად კანონში რომ არ ასახულიყო.

ავიღოთ თუნდაც ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცა და ავტორიტეტი შემატა ახალმა კონსტიტუციამ. სპორტულ ორგანიზაციებს, რა თქმა უნდა, დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ახალი კონსტიტუციით მონიჭებული უფლებანი და მოვალეობანი. მთავარი ამოცანა — მასობრიობიდან საყოველთაო სახალხო ფიზკულტურულ მოძრაობაზე გადასვლა, ფიზკულტურისა და სპორტის უფრო მჭიდროდ დამკვიდრება მშრომელთა ყოველდღიურ ყოფაში — ჩვენგან მოითხოვს უფრო მეტ შემართებასა და პასუხისმგებლობას. ჩვენ დღენიადაგ უნდა ვზრუნავდეთ და უზრუნველვყოფდეთ კიდეც ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივი მუშაობისთვის აუცილებელი პირობების შექმნას, ყველგან, წარმოება-დაწესებულება იქნება ეს თუ საცხოვრებელი ადგილი.

ამოცანა ყველასთვის ნათელია. უნდა მივაღწიოთ, რომ თავისუფალ დროს მშრომელები ოჯახის წევრებთან ერთად სრულად იყენებდნენ ფიზიკური აღზრდის სხვადასხვა საშუალებებს, იკაჟებდნენ ორგანიზმს.

1958 წლიდან მოყოლებული, მაშინ, როცა ჩვენი სპორტული საზოგადოება პირველად ჩამოყალიბდა, „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ხალხის ჯანსაღებისთვის ზრუნვა გადაიქცა. ცხოვრების საერთო წინსვლის კვალდაკვალ აღმავლობის გზით მიდიოდა ფიზკულტურული და სპორტმასობრივი მუშაობა. მივაღწიეთ იმას, რომ მშრომელთა საქმიანობაში ფიზკულტურა და სპორტი ერთგულ თანაშემწედ იქცა. ხალისიანი შრომა, შესანიშნავი განწყობა, სიმხნევე, რასაც ფიზკულტურასა და სპორტთან მეგობრობა აძლევს ადამიანებს, მძლავრი სტიმული და ამოუწურავი რეზერვია ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისთვის მთელი კოლექტივის ბრძოლაში.

უფრო კონკრეტული რომ ვიყო, მოვიტან რამდენიმე საგულისხმო ფაქტს. ჩვენს საზოგადოებაში ამჟამად თითქმის 170 ათასამდე ფიზკულტურელია, 143 ათასი მშრომელი ყოველდღიურად ასრულებს საწარმოო ტანვარჯიშს, ჯანმრთელობისა და საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფებში 34588 სხვადასხვა ასაკის ადამიანი იკაჟებს ორგანიზმს, ხოლო თევზჭერასა და ტურიზმს 32 ათასზე მეტი მოყვარული მისდევს. მაშასადამე, ჩვენი ფიზკულტურული კოლექტივები თავადვე ქმნიან ხელსაყრელ პირობებს შრომის ნაყოფიერების ამაღლებისთვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. შევარდნაძემ შარშან, რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე თქვა: „არ უნდა იყოს საჭირო იმის თქმა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი შრომის ნაყოფიერების ზრდას, ვინაიდან მისი ყოველი პროცენტი სამრეწველო პროდუქციის გამოშვების, მშენებლობის ტემპის უზარმაზარ ზრდას უზრუნველყოფს და ა. შ. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რა ძნელი საქმეა ამ ერთი პროცენტის მიღწევა... მაგრამ განა ყველამ იცის, თუ რამდენად შეიძლება გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება ისეთი მძლავრი ბერკეტის ამოქმედების გზით, როგორიც არის ფიზიკური კულტურა?"

ჩვენი ფიზკულტურული ორგანიზაციების უპირველესი ამოცანაც ამ „მძლავრი ბერკეტის" სრული ძალით ამოქმედებაა. შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ ზემოხსენებული აქტივის კრების შემდეგ ჩვენ ამ მიმართებით თვალსაჩინო წარმატებებს მივაღწიეთ. მაგრამ მეტი გვინდა, მიღწეული არ გვაკმაყოფილებს.

ამას იმიტომაც ვამბობთ, რომ „განთიადის" მომსახურეობაში შედის სახალხო მეურნეობის ისეთი წამყვანი დარგები, როგორიცაა: მეტალურგიული, ქვანახშირის, ხე-ტყის დამზადების, ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური, მანქანათმშენებლობის, მშენებლობისა და სამშენებლო მასალების, ქიმიური და მსუბუქი მრეწველობა. ფაქტიურად ამ დარგებში დასაქმებულია რესპუბლიკის მუშათა კლასის თითქმის მეოთხედი. მაგრამ სტატისტიკა და მასშტაბი თავისთავად არაფრის მეტყველია თუ იგი საქმით არაა განმტკიცებული.

ჩვენ გვეამაყება, რომ იმ კოლექტივებს შორის, რომლებმაც 1977 წელი მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრეს და რომლებმაც ამ წარ-

(დასასრული მე-2 გვ.).

## დიდი ინტერესით

**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე**

**ათენი.** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აქ მიმდინარე სესიაზე დიდი ინტერესით მოისმინეს 1980 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიში, რომელიც გააკეთა ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ნოვიკოვმა.

საანგარიშო მოხსენებაში დაწვრილებით იყო აღნიშნული მოსკოვისა და საბჭოთა ქვეყნის სხვა ქალაქების ოლიმპიადისთვის მზადების შესახებ.

XXII ოლიმპიადისთვის მზადება, — აღნიშნა ი. ნოვიკოვმა, — ხორციელდება სსრ კავშირის მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის სრული მხარდაჭერით; მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკისა და ტალინის სპორტული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით, რაც თამაშების წარმატებით ჩატარების ყველა საფუძველს იძლევა.

მოწონებული იქნა ცნობა იმის შესახებ, რომ გეგმაზომიერი მშენებლობის შედეგად, საერთაშორისო ფედერაციების წესების შესაბამისი თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი მთელი რიგი ახალი ოლიმპიური ნაგებობები გამოყენებული იქნება 1979 წლის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის, რომელზეც მოიწვევენ 2000 უცხოელ სპორტსმენს.

მიღებული იქნა საორგანიზაციო კომიტეტის წინადადებები. კერძოდ, სპორტსმენთა და ოფიციალურ პირთა აკრედიტაციის წესის, უცხოელი ტურისტების მიღების ორგანიზაციის, ოლიმპიური ჩირაღდნის მარშრუტის (საბერძნეთი, ბულგარეთი, რუმინეთი და სსრ კავშირი) შესახებ.

სოკ-ის სესიამ დაამტკიცა საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ოლიმპიური თამაშების პრიზიორთა დასაჯილდოებელი მედლების, დიპლომებისა და XXII ოლიმპიადის სამახსოვრო მედლების ესკიზები.

სოკ-ის პრეზიდენტმა ლორდმა კილანინმა სესიის მონაწილეთა, სოკ-ის წევრებისა და საერთაშორისო სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელთა სახელით კმაყოფილება გამოთქვა მოსკოვის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის საქმიანობის გამო.

გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც ი. ნოვიკოვმა პასუხი გასცა ჟურნალისტებს მოსკოვის ოლიმპიადისთვის მზადებასთან დაკავშირებით მათთვის საინტერესო შეკითხვებზე (საკდესი).

**ველოსპორტი**

## მერვე ეტაპზე

**ბრადეც კრალოვეში** მოწყობილ მშვიდობის 31-ე ველორბოლის ფინიშთან შეგროვილი ათასობით გულშემატკივარი მქუხარე ტაშით შეეგება მათი გუნდის წარმომადგენლის მ. კლასის (ჩეხოსლოვაკია) გამარჯვებას — 3:57.26. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ შმაიზერი (გდრ) — 3:57.31 და პოლონელი ლ. მიხალიკ — 3:57.36.

გუნდურ ჩათვლაში ისევ ჭრთა ნაკრები ლიდერობს. გდრ-ს კოლექტივს თითქმის 15 წუთით უსწრებს. პირად პირველობაში კვლავ წინ არიან კუბელი ა. ავერინი, ფსკოველი ზახაროვი და რუმინელი მირჩეა ლი მ. რომაშკანუ.

**მშვილდოსნობა**

## „გაზაფხულის ისრები"

ასე ეწოდება მშვილდოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გაზაფხულობით ტარდება. ესტონეთის დედაქალაქ ტალინში მოასპარეზეებმა უკვე გაიარეს დისტანციის ნახევარი. ტურნირი დღეს მთავრდება.

ქალთა შორის მ-1 ვარჯიშის შემდეგ დაწინაურდა მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, ლვოველი ვ. კოვპანი, რომელმაც 1273 ქულა მოაგროვა, ხოლო ვაჟებში ლიდერობა ხელთ იგდო მოსკოველმა ა. აულოვმა — 1281.

სეზონის დასაწყისისთვის მაღალ შედეგებს აჩვენებენ ტურნირის მონაწილე ქალები. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ზ. რუსტამოვა (დუშანბე) პირველი დღის შემდეგ მტკიცედ ლიდერობდა, მაგრამ მერე, განსაკუთრებით 30 მეტრიდან ასპარეზობაში ჩამორჩა და მას მსოფლიო რეკორდსმენმა, ტაშკენტელმა ნ. ბუტუზოვამაც გაასწრო — 1269.

ვაჟთა შეჯიბრების სიურპრიზი გახლდათ პოლონელ მ. შიმჩაკის გამოსვლა. პირველი დღის მერე იგი XII ადგილზე იყო, მეორე დღეს კი იმდენი შეძლო, რომ 1260 ქულას მოუყარა თავი და II ადგილზე გადაინაცვლა.

კონსტიტუცია ცხოვრობს, კონსტიტუცია მოქმედებს

# თავისუფალი დრო ჯანმრთელობის სამსახურში

საქართველოს პროფსაბჭოს V პლენუმის შესახვედრად

## ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ

დასასრული

მატებისთვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვეს, ქუთაისის საავტომობილო და რუსთავის მეტალურგიული ქარხნებიც არის. ეს ის კოლექტივებია, რომლებმაც კარგახანია ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში მიაღწიეს სრულყოფას და დამსახურებულად მოიპოვეს სპორტული კლუბის საამაყო სახელი. ისინი მუდამ იძლევიან იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა ზრუნავდეს კოლექტივი მისი თითოეული წევრის კეთილდღეობაზე, როგორ უნდა დაინერგოს ფიზკულტურა და სპორტი ყოველდღიურ ყოფაში.

ზოგან „ჯანმრთელობის საამქროს“, როგორც ამას მოხდენილად უწოდებენ ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობას, ისეთივე მზრუნველობით ეკიდებიან, როგორც ნებისმიერ საამქროს, სადაც პროდუქცია იქმნება. ახლა ბევრს ლაპარაკობენ მართვის ორგანიზაციულ სისტემაზე და შრომის მეცნიერულ ორგანიზაციაზე, ურომლისოდაც ნებისმიერ დარგსა თუ სფეროში წარმოუდგენელია წინსვლა-დაწინაურება და თანამედროვე მოთხოვნათა დონემდე ამაღლება.

ამ მიმართებით კოორდინაციისა და ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის ჩინებული მაგალითი მოგვცა მსუბუქი მრეწველობის, მშენებლობის, სამშენებლო მასალების მრეწველობის და ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროებმა, სადაც უშუალოდ მინისტრის მოადგილეების ხელმძღვანელობით შეიქმნა ფიზკულტურისა და სპორტის ხელშემწყობი საბჭოები.

თითქმის ყველგან გატარდა ადგილებზე ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად გარდაქმნის ღონისძიებები. წინა პლანზე წამოვწიეთ სოციალისტური შეჯიბრება.

წელს მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში თითქმის ორჯერ მეტი მშრომელი და მათი ოჯახის წევრი მიიღებს მონაწილეობას, ვიდრე შარშან. ეს იქნება ახალი კონსტიტუციით მონიჭებული დასვენების უფლების პრაქტიკული ხორცშესხმა. წესად შემოვიღეთ: პრეზიდიუმის სხდომებზე სისტემატურად გამოგვაქვს საკითხი იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებები ტარდება სახელმწიფოს ძირითადი კანონით — კონსტიტუციით მონიჭებული დასვენების უფლების უზრუნველსაყოფად ფიზკულტურულ კოლექტივებში ვაანალიზებთ და ვანზოგადებთ მოწინავეთა გამოცდილებას.

რა თქმა უნდა, სერიოზული ნაკლოვანებებიც გვაჩნია. პრეზიდიუმის სხდომებზე მათ შესახებაც ვმსჯელობთ, პრესაში, რადიოსა და ტელევიზიით ხშირად ვამხელთ იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობას. ზოგჯერ ჩვენი მუშაკების დაუდევრობაა ჩამორჩენის მიზეზი. ამ ცოტა ხნის წინათ უპასუხისმგებლობისთვის მკაცრად დავსაჯეთ ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის ფიზკულტურის მეთოდისტი ე. ჩადუნელი და ინსტრუქტორი ლ. გელაშვილი. ახლახან გამოირკვა, რომ მშრომელთა შორის მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციას ვერც თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი ლ. ვოლოშინა ართმევდა თავს და იგი სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს. მუშაობა ამ უბანზე ჩაშლილია, აგრეთვე, თბილისის ელექტროტექნიკურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

რამდენიმე სიტყვით სპორტულ მუშაობასაც შევეხები. ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ იქ, სადაც მასობრივ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა ყურადღებითაა გარემოსილი, არც სპორტს მოაკლდება სიმტკიცე.

მოვიტან კონკრეტულ მაგალითს. შარშან მარტო მშდ კომპლექსის საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფებში 31 ათასამდე მუშა-მოსამსახურე იყო ჩაბმული. თითქმის ყოველი მათგანი გამოვიდა სტარტზე კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად. დავინტერესდით სპორტთან მათი შემდგომი კავშირით და გამოირკვა, რომ ყოველი ათიდან თითქმის რვა უკვე რომელიმე სპორტულ სექციაში მეცადინეობს. მაშასადამე, სპორტულმა სექციებმა ადგილებზე ახალი შევსება მიიღო. ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც მშდ კომპლექსში გამოცდის წყალობით კონკრეტულად აქვთ არჩეული სპორტის ესა თუ ის სახეობა.

შარშან ჩვენმა კოლექტივებმა 29 ათასამდე მასობრივი თანრიგის სპორტსმენი მოამზადეს. აი, რა ძალა აქვს ფიზკულტურული მუშაობის მასობრიობას, რომლის თავიდათავი, ვიმეორებ, კარგად ორგანიზებული საერთო გამაჯანსაღებელი მუშაობა გახლავთ.

მასობრიობიდან ოსტატობამდე, როგორც ცნობილია, მტკიცე „ხიდია“ გადებული. შარშან „განთიადმა“ სსრ კავშირის 48 სპორტის ოსტატი, 235 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და 979 პირველთანრიგოსანი მოამზადა. ეს დიდად აღემატება გეგმა-ვალდებულებებს. ორმაგად შესრულდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების მომზადების გეგმა.

ჩვენს დიად ქვეყანაში არ არის იმაზე საპატიო ამოცანა, ვიდრე ხალხის კეთილდღეობისთვის ზრუნვა. ამ იდეითაა გასხივოსნებული საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციები. სწორედ ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობის სამსახურში დგას დღეს ფიზკულტურა და სპორტიც.

**ა. მითაგვარიანი,**
**„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე.**

თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა შორის უკანასკნელ ხანს მტკიცედ მოიკიდა ფეხი ისეთმა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელმა ღონისძიებებმა, როგორიცაა საწარმოო ტანვარჯიში და ტურიზმი. აქ ყველა საამქროში დანერგილია ტანვარჯიში, რომელშიც ასობით თანამშრომელია ჩაბმული. დასვენების დღეებში კი რეგულარულად ეწყობა ქალაქგარეთ გასვლები, ტურისტული ლაშქრობები.



სურათზე: საწარმოო ტანვარჯიში ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის ერთ-ერთ საამქროში.

ჯ. ლომაძის ფოტო.

## იქნებ გამოინახოს...

**როცა** საქმე მასობრივ-გამაჯანსაღებელ მუშაობას ეხება, ყურადღების შესუსტება შეუძლებელია ვინმემ კოლექტივის წევრთა სიმცირით გაამართლოს. მხნეობისა და დღეგრძელობის ელექსირი უკლებლივ ყველას ესაჭიროება, ამიტომ ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მცირერიცხოვანი კოლექტივების თავისებურებების გათვალისწინებას, მუშაობის იმდაგვარად წარმართვას, რომ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მონაწილეობა ყოველთვის იყოს ხელმისაწვდომი.

ჩვენს რაიონში „განთიადის“ მხოლოდ ორი კოლექტივია. ერთი მათგანია საქსოვი ფაბრიკა. მქსოველებმა კარგად იციან საწარმოო ტანვარჯიშის ცხოველმყოფელი ძალა, ამიტომაც არ გაგვძნელებია ამ გამაჯანსაღებელი ღონისძიებით მათი დაინტერესება. არც ტურიზმში ჩამოვრჩით. ამ ჭეშმარიტად რომანტიკულმა სახეობამ ისე გაიტაცა მქსოველები, რომ შარშან ტურისტულ მრავალჭიდში „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაში მონაწილეობაც „გაბედეს“ და 80 კოლექტივთან ბრძოლაში ათეულში დაიმკვიდრეს ადგილი. ეს საამაყო ფაქტი იყო, მაგრამ უფრო საამაყოა ის, რომ ამის შემდეგ ტურიზმში მომეცადინეთა რიცხვი ჯერითრად გაიზარდა.

ფაბრიკაში მასობრივ-გამაჯანსაღებელ მუშაობას მუდამ დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან: ადგილკომის თავმჯდომარე იზოლდა დუნდუა, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ჯ. ლიპარტია, აქტივისტები ინჟინერი გ. ჭელიძე, მექანიკოსი ე. გოჩალეიშვილი, მუშა გ. კობახიძე.

ჩვენი ფაბრიკა ქუთაისის სათაო ორგანიზაციის ფილიალია. სხვა უბანზე ალბათ ყველაფერი მოგვარებულია. მაგრამ აი, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტ-მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა კოლექტივს დამოუკიდებლად არ შეუძლია, რადგან სახსრები ქუთაისშია თავმოყრილი. ეს ერთგვარად აფერხებს საქმეს. ამგვარი პრობლემის წინაშე, რამდენადაც ვიცი, სხვა რაიონების ზოგიერთი კოლექტივიც დგას.

იქნებ გამოინახოს რაიმე საშუალება, რომ მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება სათაო ორგანიზაციებთან არ იყოს დაკავშირებული?

**შ. ლიპარტია,**
**აბაშის საქსოვი ფაბრიკის ფიზკულტურის მეთოდისტი.**

## ზრუნვას საქმით ვუპასუხებთ

**საქართველოს** ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვამ და შემდეგ მისმა დამტკიცებამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ემსახურება ადამიანს, მის კეთილდღეობას.

კონსტიტუციის დამტკიცების დღისთვის ჩვენ უკვე ახალი მოთხოვნების შესაბამისად გადამუშავებული გვქონდა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივი მუშაობის ადრე შემუშავებული გეგმები.

რა თქმა უნდა, ახალ ამოცანებს გამოცდილება დაედო საფუძვლად. თავისთავად ბევრ რამეზე ის მეტყველებს, რომ ჩვენი კოლექტივი ჯერ კიდევ 1961 წლიდან ატარებს სპორტული კლუბის საპატიო სახელს. შარშან „განთიადის“ კოლექტივებს შორის გამართულ სოცშეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვედით თითქმის ყველა ძირითად მაჩვენებელში. უკვე მივაღწიეთ, რომ მუშა-მოსამსახურეთა 60,5 პროცენტი სისტემატურად მეცადინეობს ფიზკულტურასა და სპორტში, თითქმის ამდენივე ჩაბმულია საწარმოო ტანვარჯიშში. შარშან ყოველთვიურად 2-3 მასობრივ ღონისძიებას ვატარებდით. მარტო მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში 8500-ზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ მშდ ფიზკულტურულ კომპლექსს საქართველოს ნაკრებ კოლექტივში, რომელიც კომპლექსის მრავალჭიდში საკავშირო ასპარეზობისთვის ემზადება, ჩვენი სამი წევრია შეყვანილი. სპორტის სხვა სახეობებში კი 30-ზე მეტი ფეიქარი „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებ გუნდებში იცავს კოლექტივის ღირსებას.

„ფეიქარი“ ერთ-ერთია „განთიადის“ კოლექტივებს შორის, რომელსაც კეთილმოწყობილი კომპლექსური სპორტული ბაზები გააჩნია. გვაქვს ქალაქგარე დასვენების ზონაც. მთავარი ახლა ისაა, მთელი დატვირთვით, უფრო სრულყოფილად და ეფექტურად გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობები, ჩვენი მუშაობა წარვმართოთ ახალი კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად. ამ მიმართებით წელს გვინდა მივაღწიოთ თვალსაჩინო წარმატებებს. გადავწყვიტეთ ფიზკულტურისა და სპორტის გეგმა-ვალდებულებები, რომელიც დიდად აღემატება შარშანდელს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების წლისთავისთვის გავანაღდოთ.

**გ. დვალი,**
**სპორტკლუბ „ფეიქრის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.**

გვერდი მოამზადეს საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტის სპორტული ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტებმა თ. ბაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით.

## რეზერვი ყველგანაა

**მე და ჩემს** მეგობრებს სიამაყეს გვგვრის საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ახალი კონსტიტუციის ყოველი სტრიქონი. მართლაც, დიდი ბედნიერებაა გქონდეს შრომისა და დასვენების უფლება და ეს უფლება სახელმწიფოს ძირითადი კანონით იყოს გარანტირებული.

კონსტიტუციაში როცა ლაპარაკია დასვენების უფლებაზე, იქვეა მინიშნებული, რომ ამ უფლებას უზრუნველყოფს მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება. ჩვენში ჩინებული პირობებია შექმნილი ამ უფლების უზრუნველსაყოფად. მხედველობაში მაქვს ის დიდი ზრუნვა, რასაც პარტია და მთავრობა, ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები და შრომით კოლექტივებში ადმინისტრაცია და პროფკავშირული ორგანიზაცია იჩენენ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივი მუშაობის უზრუნველსაყოფად.

ამ ზრუნვას ჩვენ სისტემატურად ვგრძნობთ. მართალია, ჯერჯერობით არ გაგვაჩნია კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები (ამის მიზეზი პირველყოვლისა ტერიტორიული სივიწროვეა), მაგრამ ჩვენს მშრომელებს ხშირად ნახავთ ტურისტულ ბილიკებზე, პირდაპირ ბუნების წიაღში ეწყობა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება უმრავლეს სახეობებში. ვატარებთ ამხანაგურ შეხვედრებს მეზობელ კოლექტივებთან.

მაგრამ ეს არ კმარა. ამ დღეებში ვიმსჯელეთ კიდეც ამ საკითხზე და გადავწყვიტეთ ადმინისტრაციას ვთხოვოთ, თუ ეს შესაძლებელია, სახსრების კოოპერირებით ჩვენ და ჩვენს მეზობლად მდებარე ისეთმა მსხვილმა ორგანიზაციებმა, როგორიცაა წისქვილკომბინატი, ცხიმკომბინატი, მექანიკური ქარხანა და „სამტრესტის“ საწარმოო კომბინატი, ერთი საერთო სარგებლობის სპორტული კომპლექსი ავაშენოთ. იქნებ რომელიმე მათგანს უკვე გამოუნახავს... რი სათავსოც აქვს (ასეთი კი ... ლა ბევრგანაა, როცა საქვაბეებ... მაგივრად სითბოს მიწოდება ცენტრალიზებული წესით ხდება, ... ნდა ახალი საწყობები და საც... როები). ამ სათავსოში მისი მოცუ... ლობის მიხედვით შეიძლება ს... როლო ტირის, სპორტული დარბაზის, ან საჭიდაო სარბიელის მოწყობა.

ერთი სიტყვით, რეზერვი ყველგანაა. ოღონდ მის გამოვლენას და ამოქმედებას ისეთივე გულისყურით უნდა მოვეკიდოთ, როგორც შრომისნაყოფიერების ზრდის ყოველგვარი რეზერვის გამოვლენას, ამოქმედებას.

**ლამარა გარუჩავა,**
**თბილისის კერამიკული კომბინატის მხატვარ-შემსრულებელი.**



თბილისში, ი. სტალინის სახელობის სანაპიროზე ყოველი ახალი დღე ...ლოვებს აქ მშენებარე საწყალოსნო სპორტული კომპლექსის საექს...ლოატაციოდ გადაცემას. ამ საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ დედა...ქალაქის წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებს, კომკავ...შირულ ორგანიზაციებს, სპორტსმენებს, რომლებიც აქ პერიოდულად ...ართავენ შაბათობებს და თავიანთი გარჯით მშენებლებს ეხმარებიან.

...გუშინ აუზზე შაბათობა მოაწყო საქართველოს სპორტკომიტეტის ...ანამშრომელთა კოლექტივმა. აქ იყვნენ კომიტეტის ხელმძღვანელი ...მუშაკები, სამმართველოს უფროსები, განყოფილებათა გამგეები, ინს...ტრუქტორები, ყველამ ხალისიანად იმუშავა. ვინ მეარმატურეებს წაახ...მარა ხელი, ვინ მომპირკეთებლებს. სხვებმა დარბაზებისა და ტერიტო...რიის დალაგებაზე იშრომა.

● ● ●

სურათზე: აუზზე შაბათობაზე მოსულთა ერთი ჯგუფი.

ე. ხუცურაულის ფოტო.

## ფეხბურთი

...ოგკავშირის სსრ კავშირის საფეხ...ბურთო ჩემპიონატის VII ტურის ...მატჩებში გატანილი გოლების ავ...ტორთა ვინაობა.

„ლოკომოტივი“ — „დინა...მო“ (კიევი) 1:1. ანგარიში გახს...ნა ლოკომოტიველმა რიახოვსკიმ, ...პასუხო გოლი გაიტანა კონკო...

„ზენიტი“ — „დინამო“ (მო...სკოვი) 1:1. დაწინაურდნენ მოს...კოველები (კაზაჩონოკი), ხოლო ...შესვენების შემდეგ თანაფარდობა ...აღადგინა დავიდოვმა.

„შახტიორი“ — „ფახთაქო...რი“ 3:1. გამარჯვებულთაგან ბურ...თები გაიტანეს სტარუხინმა და ...ფედორენკომ, „ფახთაქორის“

### სტატისტიკის მოყვარულთათვის

მხრივ კი — მაკაროვმა. გაფრთხილებულია ტაშკენტელი მოგილნი.

„ქაირათი“ — „დნეპრი“ 1:0. ბურთი გაიტანა იონკინმა.

„არარატი“ — „ჩერნომორეცი“ 0:2. ანგარიში 38-ე წუთზე გახსნა იშჩაკმა, ხოლო ერევნელთა კარი მეორედ აღებულ იქნა ლეშჩუკის მიერ 55-ე წუთზე.

„ზარია“ — „ტორპედო“ 3:0. მოსკოველთა კარში ბურთები გაიტანეს კოლესნიკოვმა (2) და კუზნეცოვმა.

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — ცსკა 1:2. არმიელი ნაზარენკოს გოლი მე-17 წუთზე გაქვითა იარცევმა, მაგრამ შესვენების შემდეგ პეტროსიანმა მეორედ აიღო „სპარტაკის“ კარი.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ თბ. | 7 | 5 | 1 | 1 | 8—5 | 11 |
| „ტორპედო“ | 7 | 3 | 3 | 1 | 10—5 | 9 |
| ცსკა | 7 | 4 | 0 | 3 | 9—8 | 8 |
| „შახტიორი“ | 6 | 4 | 0 | 2 | 8—5 | 8 |
| „დინამო“ მ. | 6 | 3 | 2 | 1 | 9—6 | 8 |
| „ზენიტი“ | 7 | 3 | 2 | 2 | 9—10 | 8 |
| „დინამო“ კ. | 7 | 3 | 2 | 2 | 8—5 | 8 |
| „ჩერნომორეცი“ | 7 | 3 | 2 | 2 | 8—6 | 8 |
| „ქაირათი“ | 7 | 3 | 2 | 2 | 8—10 | 8 |
| „ფახთაქორი“ | 7 | 3 | 1 | 3 | 14—11 | 7 |
| „ზარია“ | 7 | 3 | 0 | 4 | 10—9 | 6 |
| „ლოკომოტივი“ | 7 | 1 | 4 | 2 | 8—10 | 6 |
| „ნეფთჩი“ | 7 | 2 | 1 | 4 | 3—5 | 5 |
| „არარატი“ | 7 | 2 | 1 | 4 | 3—7 | 5 |
| „სპარტაკი“ | 7 | 1 | 1 | 5 | 6—13 | 3 |
| „დნეპრი“ | 7 | 1 | 0 | 6 | 2—8 | 2 |

### ჩვენი კომენტარები

მკითხველი შეამჩნევდა, რომ ჩვენი გაზეთის წინა ნომერში და ...დღეს სსრ კავშირის გამოქვეყნე...ბულ საფეხბურთო ჩემპიონატის ცხრილებში თანაბარი ქულების ...მქონე გუნდები აბლებურად არიან განლაგებული. ეს ცვლილებები ...გამოიწვია გათამაშების დებულე...ბაში ახლახან შეტანილმა სიახ...ლეებმა, რომელთა მიხედვით ქუ...ლათა თანაბარი რაოდენობის მქო...ნე გუნდთაგან უპირატესობა ენი...

### უმაღლესი ლიგა

ჰება მას, ვისაც მეტი გამარჯვება აქვს. თუ ეს მაჩვენებელი თანაბარია, უპირატესობის მინიჭება ხდება შემდეგი მაჩვენებლებით:

— უკეთესი შედეგებით ერთმანეთს შორის ნათამაშევ მატჩებში (ეს მხედველობაში მიიღება მხოლოდ სეზონის დამთავრების შემდეგ);

— ყველა ჩატარებულ მატჩში გატანილი ბურთების მეტი რაოდენობით;

— ყველა ჩატარებულ მატჩში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი საერთო სხვაობით;

— მეტოქეთა მინდვრებზე გატანილი ბურთების მეტი რაოდენობით.

პირველი, მეორე და მესამე ადგილები ყველა ლიგაში გათამაშების დამთავრების შემდეგ ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში განისაზღვრება დამატებითი მატჩებით ერთ წრედ, ნეიტრალურ მინდორზე. იგივე წესია ძალაში გუნდებისთვის, რომლებსაც მოელით დაბალ ლიგაში გადასვლა.

თუ გუნდებს ყველა მაჩვენებელი ერთნაირი ექნებათ, მათთვის ადგილების მიკუთვნება მოხდება წილისყრით.

## თანამედროვე ხუთჭიდი

უნგრეთის თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატთა დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა ბუდაპეშტში გამართული საერთაშორისო ტურნირი. უნგრეთიდან სამი კოლექტივი მონაწილეობდა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს პირველი ნაკრების წარმომადგენლებმა, ხოლო გუნდის სამივე წევრი პირად ჩათვლაში პირველები იყვნენ — ტ. სომბატელი (5301 ქულა), ს. შამიჩი (5297) და ლ. ხორვატი (5246).

სსრ კავშირიდან ორი გუნდი მონაწილეობდა. უკეთ იასპარეზა მეორე გუნდმა (მოსკოველი პ. გორლოვი, კრასნოდარელი ო. ბულგაკოვი და სმოლენსკელი ა. პალიანოვი), რომელმაც გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო გორლოვი (5144), რომელმაც მეექვსე ადგილი დაიკავა.

## ხელბურთი

სსრ კავშირის ხელბურთელ ქალთა ნაკრებმა, რომელიც სტუმრად იმყოფება გფრ-ში, ქალაქ ხიუტენბერგში ადგილობრივ კლუბთან მატჩი გამართა. მინიმალური სხვაობით გაიმარჯვეს საბჭოთა ხელბურთელებმა — 16:15.

# ფავორიტი თუ?..

**ჰოლანდიელები მსოფლიო ჩემპიონატებში:**

1934 — შვეიცარიელებთან 2:3.

1938 — ჩეხოსლოვაკიელებთან 3:5.

1974 — ურუგვაისთან 2:0, შვეციასთან 0:0, ბულგარეთთან 4:1, არგენტინასთან 4:0, გდრ-სთან 2:0, ბრაზილიასთან 2:0, გფრ-სთან 1:2 (ფინალური მატჩი).

ყველას ახსოვს ჰოლანდიის ბრწყინვალე ნაკრები, მსოფლიოს წინა ჩემპიონატში რომ მონაწილეობდა. მას ბევრი დიდებული კოლექტივის ბედი ეწია — ვარსკვლავები უცხოურმა კლუბებმა გადაიბირეს. ამასთან კრუიფმა, რომლის გარეშე ჰოლანდიელები, ერთი მიმომხილველის გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, „ნახევარ ძალას ჰკარგავენ“, უკვე 1974 წელსვე განაცხადა, რომ ეს მსოფლიო ჩემპიონატი მისთვის უკანასკნელი იქნებოდა. „შესარჩევ მატჩებში მონაწილეობას კი მივიღებ, რათა ჩემ გუნდს ფინალის საგზურების მოპოვებაში დავეხმარო, მაგრამ თვით არგენტინაში არამც და არამც არ გამოვალ“. როდესაც მიზეზი ჰკითხეს, კრუიფმა თქვა, რომ ამ დროისათვის იგი ძალას აშკარად დაჰკარგავდა. მაშინ ბევრმა ეს სიტყვები გამოჩენილი ვარსკვლავის ახირებად ჩათვალა. მაგრამ აი, კრუიფმა (რომელმაც შეასრულა დანაპირები და ითამაშა უმნიშვნელოვანეს შესარჩევ თამაშებში) იანვრის დასაწყისში იგივე გაიმეორა, რაც ოთხი წლის წინ. რა არ იღონა ჰოლანდიის ნაკრების ხელმძღვანელობამ: „ბარსელონაში“ ხან მწვრთნელებს გზავნიდა, ხან ეროვნული ფედერაციის ემისრებს, ხან გულშემატკივართა დელეგაციებს. კრუიფმა არ გადათქვა თავისი სიტყვა. მეტი რა გაეწყობოდა. ჰოლანდიის ნაკრების წინასწარ განაცხადში, ფიფას რომ გაუგზავნეს, კრუიფის გვარი აღარ მოიხსენიება.

ხშირად იცვლებოდნენ მწვრთნელები (ცნობილი, ცვარტკრუისი, ავსტრიელი ჰაპელი), არც ჯგუფი იყო სუსტი (ბელგია, ჩრდ. ირლანდია, ისლანდია), მაგრამ ჰოლანდიელები ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გავიდნენ ფინალში. მათ 5 მატჩი მოიგეს, ორჯერ მთავარ კონკურენტ ბელგიელებთან (2:0, 1:0), 1 ფრედ დაასრულეს და 11 ქულით გაიკაფეს გზა არგენტინისკენ. ჰაპელი, რომელიც ახლა ხელმძღვანელობს გუნდს, ერთდროულად ბელგიის ჩემპიონ „ფკ ბრიუჯს“ უდგას სათავეში, მაგრამ იგი ყოველთვის ნახულობდა დროს და ვარჯიშიც შეუფერხებლად წარმოებდა. ჰოლანდიელები ემზადებიან იანვრიდან, მაისის განმავლობაში მოეწყო ორი ხანმოკლე შეკრება, ხოლო 26-ში ისინი არგენტინაში მიფრინავენ.

№ 1 მეკარედ ჰოლანდიაში კარგა ხანია ითვლება ვან ბევერენი, მაგრამ რადგანაც მტკიცედ განაცხადა უარი არგენტინაში თამაშზე, ეტყობა ნაკრების ღირსებას დაიცავს ვეტერანი იონგბლადი, რომელსაც უკვე 37 წელი შეუსრულდა. საინტერესოა, რომ იგი არც 1974 წელს ითვლებოდა ნაკრების ძირითად მეკარედ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო უკანასკნელ მომენტში მოუხმეს და გფრ-ში ურიგოდ არ გამოსულა. იონგბლადი თამაშობს პროვინციულ კლუბ „როდაში“. 1977-78 წლების სეზონში ჩინებული მზადყოფნა გამოავლინა და ნაკრებშიც გამოვიდა ორ უკანასკნელ შესარჩევ მატჩში ჩრდ. ირლანდიელებისა და ბელგიელების წინააღმდეგ.

მარჯვენა მცველია 33 წლის სურბიერი, რომელმაც ყურადღება მიიპყრო მსოფლიოს წინა ჩემპიონატში. მართალია, მას შემდეგ 4 წელი გავიდა, მაგრამ სურბიერი ისევ დიდი ოსტატობით თამაშობს, არ ეტყობა ხანი. აი, რას ამბობს იგი: „ადამიანი იმდენი ხნისაა, რამდენისაც... საკუთარ თავს მიიჩნევს! ჩემს ფიზიკურ შესაძლებლობებზე თუ იქნება ლაპარაკი, იგი ამჟამად უკეთესიც კი გახლავთ, ვიდრე 4 წლის წინ“. როდესაც სურბიერი ამსტერდამის „აიაქსიდან“ გადავიდა გელზენკირხენის „შალკე 04“-ში, ბევრი მიიჩნევდა, რომ იგი ბუნდესლიგაში „დაიკარგებოდა“, როგორც მოხდა, მაგალითად, განთქმულ ინგლისელ ფეხბურთელ კიგანს. ამ შემთხვევაში საქმე სხვანაირად წარიმართა. სურბიერი სტაბილურ ფორმაშია, დროდადრო იგი სამშობლოში ბრუნდებოდა ნაკრების შესარჩევ მატჩებში მონაწილეობის მისაღებად.

მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ დღეისათვის დაცვის ცენტრში უძლიერესი წყვილი ასე გამოიყურება: კროლი — დიუსბაბა. „აიაქსის“ კაპიტანი კროლი 29 წლისაა. მონაწილეობდა ექსივე შესარჩევ თამაშში, სადაც საიმედოდ, მტკიცედ მოქმედებდა. ამას ვერ ვიტყვით ნაკრების მეორე ცნობილ ცენტრალურ მცველ რიისბერგენზე („როტერდამის „ფეიენოორდი“). იგი 26 წლისაა, მაგრამ უკანასკნელ სეზონში იმდენჯერ დაშავდა, რომ ნაკრებში მისი პოზიცია შეირყა. კიდევ ერთმა ძლიერმა ცენტრალურმა მცველმა ვან კრააიმ („პსვ ეინდჰოვენი“) თვით არ მოისურვა არგენტინაში გამგზავრება. ამასობაში დიდი ყურადღება მიიქცია 21 წლის დიუსბაბამ, რომელიც ბრწყინვალედ თამაშობს ბრიუსელის „ანდერლეხტში“. საინტერესოა, რომ ამ ახალგაზრდა ფეხბურთელს მწვრთნელები თანდათან აჩვევდნენ ნაკრებს, მინდორზე მეორე ნახევარში გამოჰყავდათ, სანამ აშკარად არ დაჩრდილა ყველა მეტოქე. მტკიცედ ითვლება 27 წლის მარცხენა მცველ ჰოვენკამპის („აც ალკმაარი“) პოზიციაც. დაცვის ხაზი საერთოდ არ იწვევს ეჭვს, დღეისათვის იგი გუნდის უძლიერეს რგოლად მიაჩნიათ.



**მსოფლიო თასი უხმობს რჩეულებს**

●

**მეოთხე ჯგუფი:**
**ჰოლანდია, ირანი, პერუ, შოტლანდია**

აი, ის კი საკითხავია, ვინ გამოვა შუა ხაზზე და თავდასხმაში! ჰოლანდიელებს არაერთი ჩინებული ნახევარმცველი ჰყავთ, მაგრამ მათ შორის უძლიერესი, საერთაშორისო რეპუტაციის მქონე ნეესკენსი მეტად სერიოზულად დაშავდა. არავინ იცის, გამოვა თუ არა იგი არგენტინაში! ექიმებმა მუხლის ოპერაციის შემდეგ ორითვის პაუზა მოითხოვეს და თუ რაიმე „ჩქაროსნული მეთოდი“ არ აღმოჩნდა, ნეესკენსი ტურისტების რიგებში გადაინაცვლებს. ყოველი შემთხვევისთვის, მწვრთნელებმა ნეესკენსის გვარი მაინც შეიტანეს განაცხადში.

ახლა ვილაპარაკოთ იმ ნახევარმცველებზე, რომლებიც არგენტინისათვის ემზადებიან. „ფეიენოორდის“ ვეტერანმა ფეხბურთელმა, 31 წლის იანსენმა სეზონი ჩინებულად წარმართა. მას ნაკრებში გამოსვლის სერიოზული გამოცდილებაც აქვს, ასრულებს დიდ სამუშაოს. 26 წლის ვილი ვან დერ კერკჰოფი („პსვ ეინდჰოვენი“), რომლის ტყუპი ძმა რენე გარემარბად თამაშობს, ასევე მტკიცედ, ენერგიულად მოქმედებს, დიდი დიაპაზონის ფეხბურთელია. თითქოს „თავიდან დაიწყო“ 34 წლის ვან ჰანეგემის კარიერა. იყო დრო, როდესაც ნაკრების ხელმძღვანელებმა იგი „ჩამოწერეს“, მაგრამ „გაცეცხლებულმა“ ვეტერანმა პირდაპირ ბრწყინვალედ დაიწყო თამაში „აც ალკმაარში“. ვან ჰანეგემს ბევრი რამ შეუძლია: იგი ნამდვილი დირიჟორია, ტაქტიკური ტალანტით დაჯილდოებული ოსტატი, კონტაქტს ამყარებს თავდამსხმელებთან, ამარაგებს მათ გადაცემებით. ვან ჰანეგემი თვით უტევს კარს და ხშირად გოლებიც გააქვს. მას შემდეგ, რაც კრუიფი ნაკრებს საბოლოოდ გამოეთხოვა, ვან ჰანეგემის, ერთადერთი ფეხბურთელის, რომელსაც შეუძლია მის ამპლუაში გამოსვლა, „აქციებმა მკვეთრად აიწიეს“. ვან დერ კუილენი („პსვ ეინდჰოვენი“), რომელიც თანაბარი წარმატებით თამაშობს შუა ხაზზე და თავდასხმაში, ბევრ შესარჩევ მატჩში მონაწილეობდა... მან გაიმეორა ... ლი განცხადება ... ვების შესახებ, მაგრამ ჰაპელმა არ მიიღო „გადადგომა“. გარკვეულ იმედებს ამყარებენ ახალგაზრდა ნახევარმცველ პეტერსზეც („აც ალკმაარი“), რომელიც, ჰოლანდიელ მიმომხილველთა აზრით, ნიჭით მხოლოდ კრუიფს თუ ჩამოუვარდება.

მარჯვენა გარემარბმა რეპმა, რომელსაც „ელვასავით სწრაფს“ უწოდებენ, 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ სამშობლო მიატოვა. ერთხანს იგი ესპანეთის „ვალენსიაში“ გამოდიოდა, შემდეგ „ბასტიაში“ (საფრანგეთი) გადავიდა, სადაც დიდი წარმატებით დაიწყო თამაში. ის ფაქტი, რომ მანამდე უმნიშვნელო კლუბი „ბასტია“ უეფას თასის ფინალში გავიდა, ბევრ სპეციალისტს სწორედ რეპის დამსახურებად მიაჩნია. რეპი ახლა 26 წლისაა. აპრილში, მართალია, დაშავდა, მაგრამ სწრაფად გამოჯანმრთელდა და განაახლა ვარჯიში. როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, არგენტინაში რეპი დიდ უსიამოვნებას შეამთხვევს ბევრ მცველს.

რა თქმა უნდა, უდავოა შესანიშნავი მარცხენა გარემარბის რენსენბრინკის კანდიდატურაც. იგი განსაკუთრებული წარმატებით გამოდის ნაკრებში და ბელგიის „ანდერლეხტში“, რომლის შემადგენლობაში უკვე ორგზის მოიპოვა ევროპის თასების მფლობელთა თასი. საინტერესოა, რომ 31 წლის რენსენბრინკს, რომლის ტალანტი შედარებით გვიან გაიფურჩქნა, არ უყვარს კრუიფი („მას მინდორზე უფრო ბრძანებების გაცემა უყვარს, მე კი თამაში“) და ნაკრებში მის გარეშე უკეთ უნდა იგრძნოს თავი. როგორც მიმომხილველები იუწყებიან, რენსენბრინკმა, რომელსაც ცრუ მოძრაობების დიდი არსენალი აქვს, პირდაპირ შავი დღე აყარა „აუსტრიის“ კაპიტან რ. ზარას, რომელიც, თავის მხრივ, „რკინისებურ“ მცველად ითვლება.

ვინ გამოვა თავდასხმის ცენტრში? მას შემდეგ რაც კრუიფისა და გეელსის კანდიდატურა მოიხსნა, მწვრთნელებმა ყურადღება გაამახვილეს 25 წლის კისტზე. იგი მეტად თავისებური ფეხბურთელია. „აც ალკმაარში“, სადაც კარგა ხანია გამოდის, მატჩების უმრავლესობა ჩატარებული აქვს, როგორც ცენტრალურ... მცველს. ამ გუნდის მწვრთნელის ბედნიერი მიგნება იყო კისტის გადაყვანა თავდასხმის ცენტრში, სადაც მან დაჩრდილა ისეთი ჩინებული ფორვარდიც კი, როგორიც გეელსი გახლავთ. ძნელი სათქმელია, როგორ იგრძნობს თავს კისტი რეპისა და რენსენბრინკის გვერდით, რომელთაც მხოლოდ „დღესასწაულების დროს“ ხედავს. თუ კისტმა უჩვეულო პირობებში და, უჩვეულო პარტნიორებთან ვერ შეძლო დაკისრებული ამოცანის შესრულება, მაშინ მწვრთნელი ისევ მრავალმხრივ ვან დერ კაილენზე ამყარებს იმედს. მსოფლიო ჩემპიონატისათვის ემზადება, აგრეთვე, გარემარბი რ. ვან დერ კერკჰოფი, რომელიც ნაკრებში არაერთხელ გამოსულა.

იმის გამო, რომ შუა ხაზზე და თავდასხმაში ჩვეული კავშირი დაირღვა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის ყარის გამო, ჰოლანდიელთა თამაშის ხასიათი, ეტყობა, საკმაოდ შეიცვლება გასაგებია, ეს უკეთესობისაკენ, ცვლილებები არ იქნება.

ვ. თორელი.

# სამტრედიიდან მცირე მიწაზე

## დიდების გზით, მამათა ნაკვალევზე

ავტოგადარბენა, რომელშიც 15 მსუბუქი ავტომანქანა (39 კაცი) მონაწილეობდა, მიეძღვნა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს — 9 მაისს. ლაშქრობის დევიზი იყო „დიდების გზით — მამათა ნაკვალევზე".

ამ საინტერესო ღონისძიების ინიციატორი გახლდათ სამტრედიის რაიონის ავტომოყვარულთა კლუბის თავმჯდომარე ბ. ახობაძე. ღონისძიების ორგანიზებულად ჩატარებაში დიდი როლი შეასრულა ამ საქმისადმი რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარის გ. კალაძისა და დელეგაციის ყველა წევრის გულისხმიერმა დამოკიდებულებამ.

სტარტის წინ ყვავილებით ვამკობთ შინმოუსვლელთა დიდის ქანდაკებას და ავტოკოლონა გეზს დანიშნული ადგილისკენ იღებს — ადგილისაკენ, რომლის განთავისუფლებასა და დაცვას მრავალი ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე შეეწირა.

მცირე მიწისკენ მიმავალ კოლონას ყველა ქალაქში ინტერესით ხვდებოდნენ, მაგრამ განსაკუთრებით დაუვიწყარი იყო გმირ ქალაქ ნოვოროსიისკში გამართული შეხვედრა: ხალხით სავსე ქუჩები სიხარულითა და ოვაციებით ეგებებოდა ჩვენს კოლონას.

...მცირე მიწა. ექსკურსიამძღოლი აგვიწერს იმ სასტიკი ბრძოლების სურათებს, გვესაუბრება იმაზე, 1000 კაცისაგან შემდგარი პირველი დესანტის გადასხმის დროს როგორ გადარჩა მხოლოდ 8 მებრძოლი.

ექსკურსიამძღოლი გვიჩვენებს მეთვრამეტე არმიის სარდლის კ. ლესელიძის სურათს და მოგვითხრობს მის საგმირო საქმეებზე.

ძალზე შთამბეჭდავი იყო „სიკვდილის დაბლობის" წინ ჭურვების ნამსხვრევებისგან აღმართული მონუმენტი — „ეს არ უნდა განმეორდეს!". ეს იმ ჭურვების ნამსხვრევებია, მცირე მიწის თითოეულ დამცველზე 1250 კგ რომ მოდიოდა.

ძმათა სასაფლაოსთან პიონერების საპატიო ყარაული იდგა. საფლავის ქვაზე ვკითხულობთ მრავალი ქართველის გვარს. ობელისკის გვერდით სპეციალურად გამოყოფილ ნაკვეთზე გავაშენეთ კედარის ხეივანი, რომლის მოვლა-პატრონობა იკისრეს № 8 საშუალო სკოლის V-ა კლასის მოსწავლეებმა. მათვე გამოთქვეს სურვილი, იმეგობრონ სამტრედიის რუსული საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებთან.

ხეივნის დასაწყისში დავდგით სპეციალურად ჩატანილი მარმარილოს ქვა წარწერით: „მცირე მიწის გმირებს — სამტრედიის მშრომელებისაგან". დელეგაციის მონაწილეებმა მშობლიური მიწა მოვაბნიეთ ქართველ გმირთა საფლავებს...

**ვ. წულუკიძე,**
**საქართველოს ალკკ სამტრედიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე.**

---

**მსოფლიო ჩემპიონების მატიანე**

# კვლავ მეჩინარჩუნა

მოჭადრაკე, მით უმეტეს, მსოფლიო ჩემპიონი, მუდამ მზადყოფნაში რომ იყოს, ხშირად უნდა თამაშობდეს. ამიტომ მ. ბოტვინიკმა დ. ბრონშტეინთან მღელვარე პაექრობის შემდეგ გადაწყვიტა მეტი ეთამაშა.

1951 წლის მიწურულს ბოტვინიკმა მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის XIX ჩემპიონატის ფინალში, სადაც 1945 წლიდან ძალა არ უცდია. იგი მხოლოდ V ადგილზე გავიდა. ჩემპიონი გახდა პ. კერესი. II-III ადგილები გაიყვეს ახალგაზრდებმა ტ. პეტროსიანმა და ე. გელერმა. IV ადგილი ხვდა ვ. სმისლოვს. 1952 წლის გაზაფხულზე მსოფლიო ჩემპიონი გაემგზავრა უნგრეთში, სადაც ბუდაპეშტის საერთაშორისო ტურნირში ითამაშა. მან III-V ადგილები გაიყო სმისლოვთან და გ. შტალბერგთან (შვეცია). აქაც გაუსწრეს კერესმა და გელერმა.

ბოტვინიკის ამ წარუმატებლობამ, რაც პრაქტიკის ნაკლებობით იყო გამოწვეული, დააფიქრა საბჭოთა ჭადრაკის მესვეურნი და იგი არ შეიყვანეს სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში, რომელსაც პირველად უნდა მიეღო მონაწილეობა საჭადრაკო ოლიმპიადაში.

საჭადრაკო ოლიმპიადა, ანუ მსოფლიოს გუნდური პირველობა ფიდე-მ 1927 წელს შემოიღო. ეს ყველაზე ხალხმრავალი საერთაშორისო საჭადრაკო ფორუმი ორ წელიწადში ერთხელ იმართება. თითოეულ გუნდში ოთხი ძირითადი და ორი სათადარიგო წევრია. საბჭოთა მოჭადრაკეები ოლიმპიადაში 1952 წლიდან მონაწილეობენ. სწორედ ამ წელს ჰელსინკში (ფინეთი) მოეწყო X ოლიმპიადა. საბჭოთა გუნდმა შინ წამოიღო ფიდე-ს ოქროს თასი, რომელიც ინგლისელმა საჭადრაკო მოღვაწემ გამილტონ-რასელმა დააწესა. ეს თასი ჩვენმა მოჭადრაკეებმა კიდევ თორმეტჯერ მოიპოვეს.

1952 წლის შემოდგომაზე სტოკჰოლმში (შვეცია) მასპინძლობდა საზონათაშორისო ტურნირს, რომელშიც 21 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა. პრეტენდენტთა ტურნირში გავიდნენ ა. კოტოვი, ტ. პეტროსიანი, მ. ტაიმანოვი, ე. გელერი და ი. ავერბახი. როცა მათ დაემატა პრეტენდენტთა I მატჩ-ტურნირის (ბუდაპეშტი, 1950 წ.) პირველი ხუთი გამარჯვებული (ბრონშტეინი, ი. ბოლესლავსკი, სმისლოვი, კერესი, მ. ნაიდორფი), აღმოჩნდა, რომ უცხოელთაგან მხოლოდ ერთი დიდოსტატი იყო. შეჯიბრებას საერთაშორისო სახე რომ ჰქონოდა, ფიდე-მ სათამაშოდ დაუშვა კიდევ ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია), ლ. საბო (უნგრეთი), შტალბერგი, რომლებმაც სტოკჰოლმში ავერბახთან V-VIII ადგილები გაიყვეს და მხოლოდ კოეფიციენტთა ცხრილით მასზე უარესი მაჩვენებელი ჰქონდათ, აგრეთვე მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ეივე (ჰოლანდია) და ს. რეშევსკი (აშშ).

პრეტენდენტთა ორწრიანი მატჩ-ტურნირი გაიმართა 1953 წლის აგვისტო-სექტემბერში, ციურიხში (შვეიცარია). მარათონული შეჯიბრება მოიგო სმისლოვმა — 18 ქულა 28-დან. II-IV ადგილები გაიყვეს ბრონშტეინმა, კერესმა და რეშევსკიმ — 16-16. მეხუთე იყო პეტროსიანი — 15.

მსოფლიო პირველობის ახალ პრეტენდენტს ვასილ სმისლოვს (24. III. 1921) კარგად იცნობდა ჭადრაკის სამყარო. ამიტომ არავის გაკვირვებია მისი გამარჯვება. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ჭადრაკის თამაში ექვსი წლისამ ისწავლა. 1938 წელს მოიპოვა მოსკოვის ჩემპიონის სახელი და ოსტატის წოდება. 1941 წელს გახდა დიდოსტატი. მისი სხვა დიდი წარმატებების შესახებ ნაამბობია მატიანეს წინა წერილებში ბოტვინიკთან და ბრონშტეინთან დაკავშირებით.

და აი, 1954 წლის 16 მარტს მოსკოვში, პ. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში სტარტი აიღო ბოტვინიკ — სმისლოვის მატჩმა. მეტოქეებს 24 პარტია უნდა ეთამაშათ. ყაიმის (12:12) შემთხვევაში, ბოტვინიკი ჩემპიონად რჩებოდა. მან სეკუნდანტად მიიწვია საერთაშორისო ოსტატი ი. კანი, პრეტენდენტმა — საერთაშორისო ოსტატი ვ. სიმაგინი. მატჩს ემსახურებოდა მსაჯთა ჟიური — მთავარი არბიტრი კ. ოპოჩენსკი (ჩეხოსლოვაკია), ჰ. გოლომბეკი (ინგლისი) და საბო.

ბრძოლა უაღრესად დაძაბულად მიმდინარეობდა და დამთავრდა ყაიმით — 12:12 (+7—7=10).

ბოტვინიკის აზრით მატჩი ოთხ ეტაპად შეიძლება დაიყოს.

პირველი ეტაპი. I პარტიის წაგებამ სმისლოვის თამაშს ისეთი დაღი დაამჩნია, რომ მან დაკარგა „დარტყმის სიზუსტე", რაც ანგარიშსაც დაეტყო: 1:0, 2:0, 2,5:0,5, 3,5:0,5, 4:1, 4,5:1,5.

რძო ბრძოლა, ამბობს ბოტვინიკი. კი აღმოჩნდა განსაცდელში. მან უხეიროდ გაანალიზა გადადებული VII პარტია, გამორჩა ყაიმი და დამარცხდა. მერე ნირწამხდარმა ხუთ შეხვედრაში მხოლოდ ნახევარი ქულა მოაგროვა: 4,5:2,5, 5:3, 5:4, 5:5, 5:6.

მესამე ეტაპზე სმისლოვმა დიდი შეცდომა დაუშვა, როცა გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა. მას კვლავ დინჯად, პოზიციურად უნდა განეგრძო ბრძოლა, ამბობს ბოტვინიკი. მცდარ გეზს წარუმატებლობა მოჰყვა. მსოფლიო ჩემპიონი ისევ დაწინაურდა: 6:6, 7:6, 7:7, 8:7, 9:7.

მეოთხე ეტაპი XVII პარტიით დაიწყო. ბოტვინიკის მიზანი იყო შეენარჩუნებინა უპირატესობა მომდევნო შეხვედრებში. მან ეს შეძლო, თუმცა ფინიშზე ორჯერ დამარცხდა: 9,5:7,5, 10:8, 10,5:8,5, 10,5:9,5, 11:10, 11,5:10,5 11,5:11,5.

XXIV პარტიაში ბოტვინიკს ოდნავ უკეთესი პოზიცია ჰქონდა, როცა სმისლოვმა ყაიმი შესთავაზა. ბოტვინიკმა მას უთხრა: „თქვენი წინადადება იმდენად მაცდუნებელია, რომ შეუძლებელია უარის თქმა". ამ ყაიმმა მას მესამედ მოუტანა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

1954 წლის 15 მაისს ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტმა ა. ილმაკუნასმა (ფინეთი) ბოტვინიკი საზეიმოდ შეამკო ჩემპიონის დაფნის გვირგვინით.

**თ. გიორგაძე.**

---

## უცხოური კალეიდოსკოპი



1. გაიმართა ვიეტნამის პირველი ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში.
2. ბოსტონის მასობრივ მარათონში თითქმის 5 ათასმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა.
3. ჩეხოსლოვაკიის მოზარდ სპორტსმენებში ძალიან პოპულარულია ხელბურთი; პრაღის ნორჩი ხელბურთელები სპორტკლუბ „დუკლაში" ვარჯიშობენ.
4. შვედების ოლიმპიური იმედია 12 წლის ტანმოვარჯიშე გოტენბურგელი ანიკა ფრიტცენი.

საკდესის ფოტოები.

---

## „სპორტლოტო"

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა „შაბათის სპორტლოტოს" მორიგი, მეოცე ტირაჟი.

**პირველი:** 1 (კალათბურთი), 2. (ბიატლონი), 6 (კლასიკური ჭიდაობა), 26 (სამბო), 27 (თანამედროვე ხუთჭიდი). **მეორე:** 9 (წყალბურთი), 21 (აფროსნობა), 22 (ცურვა), 29 (ტყვიის სროლა), 34 (ფეხბურთი).

---

## სპორტის მოყვარულთათვის

დღეს, 21 მაისს საქართველოს ტელევიზიის სპორტული განყოფილება გულშემატკივრებს სთავაზობს „სპორტულ კალეიდოსკოპს" ფერადი გამოსახულებით (დასაწყისი 22 საათი, 30 წუთი).

გადაცემის პროგრამაშია: მოჭიდავეთა ევროპის ბოლო ჩემპიონატი, რომელსაც კომენტარს გაუკეთებს სახელოვანი ფალავანი ლევან თედიაშვილი: სიუჟეტები — მოტოკროსში მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონ იტალიელ ჯაკომო აგოსტინიზე, იუგოსლავიელ მოკრივე მათე პარლოვზე, ავტორბოლაში მონტე-კარლოს დიდ პრიზზე. ნაჩვენები იქნება ფრაგმენტები ფეხბურთში უეფას თასის გათამაშების ფინალური მატჩიდან, აგრეთვე. არგენტინა — ურუგვაის ფეხბურთელთა შეხვედრიდან და სხვ.

---

## სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი** „სიჭაბუკის თასის" ფინალური მატჩი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. **21 მაისი. „დინამო" (თბილისი) — განათლების განყოფილება (ქუთაისი). დასაწყისი 18 ს.**

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

---

## ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი

(აკ წერეთლის პრ. № 2)

**ფეხბურთი**

23 მაისი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო" (თბილისი) — „შახტიორი" (დონეცკი)

დასაწყისი 19 ს.

ორგანიზაციებზე ბილეთები გაიყიდება 22 მაისს დილის 10 საათიდან, საერთო გაყიდვა — 23 მაისს დილის 10 საათიდან „დინამოს" სტადიონის სალაროებში.

---

**მძლეოსნობა**

## ერთი სანტიმეტრით... მსოფლიოში საუკეთესო

**ამერიკის** ქალაქ კორვალის (ორეგონის შტატი) სტადიონზე გამართულ ამ ქვეყნის მძლეოსანთა შეჯიბრებაში კალიფორნიელმა სტუდენტმა მ. ტალმა ჭოკით ხტომაში 571 სმ სიმაღლე დაძლია. ეს შედეგი ერთი სანტიმეტრით სჯობს მისი თანამემამულის დ. რობერტსის ორი წლის წინ დამყარებულ მსოფლიო რეკორდს.

მ. ტალს შემოდგომაზე 22 წელი უსრულდება. ეს 186 სმ სიმაღლის ჭაბუკი მხოლოდ 70 კგ-ს იწონის. ასეთი ფიზიკური მონაცემები რეკორდის დამყარების ერთ-ერთი პირობა გახლავთ.

**რეილინგენის** (გფრ) სტადიონზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ცნობილმა დასავლეთგერმანელმა კ.-ჰ. რომმა ურო 79,12 მეტრზე ტყორცნა. ეს შედეგი 18 სანტიმეტრით ჩამორჩება მისი თანამემამულე ვ. შმიდტის მსოფლიო რეკორდს და წლევანდელ სეზონში საუკეთესოა მსოფლიოში. აქვე ქალთა შორის ბირთვის კვრაში მსოფლიო რეკორდსმენმა ჰ. ფიბინგეროვამ (ჩეხოსლოვაკია) 21,60 მ აჩვენა. ესეც წლეულს საუკეთესო შედეგია მსოფლიოში.

---

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკეჟისა რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 68-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93 97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93 97 53; ჭადრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93 97-52; წერილების — 93 97 54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93 93 81; ფოტოლაბორატორია — 93 97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 10083